ხაშურის მოამბე

№12 (294) 26 აპრილი, ორშაბათი, 2021 წელი

ვნების კვირა (შვიდეული)

ვნების შვიდეული აღდგომის წინა კვირას ეწოდება და ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, მაცხოვრის ჯვარცმას და შემდეგ ქრისტეს აღდგომისთვის მზადებას ეძღვნება.

როგორ უნდა მოიქცნენ ქრისტიანები ვნების შვიდეულში

ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს ტაძარში სრულდება წირვები პირველშეწირულთა ძღვენთა, იკითხება მთელი სახარება თავიდან ბოლომდე.

ამ კვირაშიც, გარდა ხუთშაბათისა, დიდმარხვის პირველი კვირის მსგავსად, მორწმუნეები მკაცრად მარხულობენ, თუმცა ვნების შვიდეულის ხუთშაბათი დღე, ე.წ. „დიდი ხუთშაბათი“ ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა.

ვნების შვიდეული დღეების მიხედვით

დიდი ორშაბათი

ვნების შვიდეულის პირველ დღეს – დიდ ორშაბათს მართლმადიდებელი ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. უნაყოფო ლეღვი იმ ქრისტიანების სულის სიმბოლოა, რომელნიც სინანულის ნაყოფს არ ისხამენ. საეკლესიო სწავლების თანახმად, როდესაც უფალი ბეთანიიდან წამოვიდა, მოშივდა, ლეღვის ხე დაინახა, რომელიც გაფოთლილი იყო, თუმცა ახლოს მისულს ლეღვი უნაყოფო დახვდა. იესომ დაწყევლა უნაყოფო ლეღვის ხე. იესომ ხის შერისხვით აჩვენა, რომ ურწმუნო და უნაყოფო სულები ისეთივე მიუღებელია ღმერთისთვის, როგორც უნაყოფო ხე.

დიდი სამშაბათი

დიდ სამშაბათს გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი – მოწყალებისკენ.

ეკლესიებში ღვთისმსახურების დროს იკითხება იგავი ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ, მეორედ მოსვლაზე და სამსჯავროზე.

ქალწულებს ზეთის მოგროვება ევალებათ, რათა სიძის მოსვლისას ზეთით სავსე ფიალები აანთონ – მხოლოდ რწმენა და ღვთის მოლოდინი ადამიანს ვერ გადაარჩენს, თუ უფლის მოსვლის ჟამისთვის ზეთი – კეთილი, სათნო საქმეები არ ექნება დაგროვებული. ამის გარეშე “სიძე იგი” არ მიიღებს ქალწულებს ქორწილში, გვასწავლის იგავი. ქორწილში სასუფეველი იგულისხმება, ქალწულებში კი ადამიანები.

ამ დღესაც მორწმუნეები მკაცრად მარხულობენ.

დიდი ოთხშაბათი

ვნების კვირის ოთხშაბათი დააწესა ქრისტიანულმა ეკლესიამ იმ დღის აღსანიშნავად, როდესაც იუდამ გასცა მოძღვარი და სინედრიონის წევრებს აღუთქვა დახმარება მის შეპყრობაში, რისთვისაც 30 ვერცხლი მოითხოვა.

ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითიც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფლველად მოამზადა.

დიდ ოთხშაბათს მორწმუნეთა განსწავლისათვის წმ. იოანე ოქროპირის მე-80 სიტყვაც იკითხება მათეს სახარების 26-ე თავის მე-6 მუხლის შესახებ. წმიდა მამა გვმოძღვრავს განსაკუთრებით მოვერიდოთ სიძვისა და ვერცხლისმოყვარეობის დამღუპველ ცოდვებს. მისი სწავლებით, ვნების თვისება არ არის, მინავლდეს შემდგომად ხორციელი დაკმაყოფილებისა, არამედ პირიქით, შემდგომად წადილის აღსრულებისა იგი უფრო მეტად მოიცავს ცოდვილი ადამიანის სულს.

დიდი ხუთშაბათი

დიდ ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას იხსენებენ.

ამ დღეს ქრისტემ უკანასკნელი სერობა (ვახშმობა) გაუმართა 12 მოციქულს.

საიდუმლო სერობის დაწყებამდე მაცხოვარმა თავის თორმეტ მოწაფეს ფეხები დაბანა, ნიშნად სიმდაბლისა და მათდამი უსაზღვრო სიყვარულისა. დიდი ხუთშაბათის მსახურებაზეც მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფეხთბანის რიტუალს ატარებენ: მაცხოვრის მსგავსად მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს ბანს ფეხებს.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ მომზადებულ მორწმუნეს ზიარება წლის ნებისმიერ დროს შეუძლია, არსებობს დიდ ხუთშაბათს ზიარების ქრისტიანული ტრადიცია. ამ დღეს უზიარებლად დატოვება ერთ-ერთ მძიმე სასჯელად ითვლებოდა, თუმცა მცდარია შეხედულება, თითქოს დიდი ხუთშაბათის ზიარება რაიმეთი აღემატებოდეს სხვა დღეებში მიღებულს. უფლის სისხლი და ხორცი მარად უცვლელია.

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც “თორმეტი სახარება” ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრეფილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით.

„თორმეტი სახარების” კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც, ერთი მხრივ, ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ, სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხუთშაბათი ვნების შვიდეულის დღეა, ის ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა.

დიდი პარასკევი (წითელი პარასკევი) ყველაზე მძიმე დღეა ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

იესოს მოძულე მღვდელმთავრებმა იუდას შემწეობით შეიპყრეს იგი და წარუდგინეს ურიასტანის მმართველს პონტოელ პილატეს და მისი ჯვარცმა ითხოვეს. იგი გოლგოთის მთაზე აიყვანეს, სადაც ებრაელები დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. მაშინ პასექის დღესასწაული იყო და ერთი დასასჯელის გათავისუფლება შეიძლებოდა. პილატემ ავაზაკი ბარაბა გამოიყვანა და იკითხა, რომელი გავათავისუფლოთო. ხალხმა ბარაბას გათავისუფლება ითხოვა. პილატე არ იყო დარწმუნებული ქრისტეს დანაშაულში, მაგრამ ხალხის შფოთს მოერიდა, ტაშტი მოატანინა, ხელები დაიბანა და თქვა, ამ საქმეში მე უბრალო ვარო. ამის შემდეგ, ხალხის მოთხოვნით, ქრისტე ჯვარს აცვეს.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, ღამის ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი – “საფლავი”, საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე დააბრძანებენ გარდამოხსნას, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მაცხოვარია ამოქარგული.

საგალობლები, რომლებიც ამ დროს იგალობება, იესო ქრისტეს ვნებასა და ჯვარცმას ასახავს. სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, “მამაო ჩვენოს” გალობის შემდეგ კი ტროპარის “მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი” გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხეველიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება – მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

სერობის შემდეგ, საღამოს შესაძლოა მწუხრიც, ე.წ. ღვთისმშობლის გოდებაც აღევლინოს.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა და მოძღვრის კურთხევით მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს იღებს, ზოგი კი მხოლოდ პურსა და წყალს.

მორწმუნეები ამ დღეს ასევე კვერცხებს წითლად ღებავენ და პასკებს აცხობენ. წითელი კვერცხის მსგავსად პასკასაც რელიგიური დატვირთვა აქვს. უფლის ჯვარცმა იუდეველთა პასექის დღესასწაულზე მოხდა.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება.

ამ დღეს, დილით ადრე, სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ეკლესიის გარშემო, რის შემდეგაც, მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს რიტუალი მომასწავებელია უფლის წმიდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში, სრულდება წირვა, ხოლო ამის შემდეგ, მორწმუნეები ემზადებიან იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად.

დიდი შაბათი ერთადერთი შაბათია წლის განმავლობაში, როდესაც დაშვებულია და სავალდებულო მკაცრი მარხვა; ამასთან, ვინც აღდგომის წირვაზე ზიარებისათვის ემზადება, საღამოს 8 სთ-ის შემდეგ საზრდელი აღარ უნდა მიიღოს, ამ დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღარ იკითხება წმიდა ეფრემ ასურის სინანულის ლოცვაც.

ყოველი წლის დიდ შაბათს მაცხოვრის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის და ეს ამტკიცებს მართლმადიდებელი სარწმუნოების ჭეშმარიტებასა და დიდებულებას.

რა გადაწყვეტილებები მიიღეს საკოორდინაციო საბჭოზე შეზღუდვებთან დაკავშირებით - საბჭო მოსახლეობას რეკომენდაციით მიმართავს

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, მაქსიმალურად დაიცვან რეგულაციები და უარი თქვან ხალხმრავალ შეკრებებზე. ასევე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, ხოლო ხანდაზმულებს მიმართავს რეკომენდაციით, მაქსიმალურად დარჩნენ სახლში. ამის შესახებ ნათქვამია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა, იმსჯელეს ინფიცირების შემთხვევების მატებასა და ეპიდვითარების გაუარესების ტენდენციაზე, როგორც მთელს მსოფლიოში, ისე - საქართველოში. აღინიშნა, რომ არსებული სურათის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრევენციული ღონისძიებების ზედმიწევნით დაცვას და აღსრულებას.

“მკაცრი შეზღუდვების თავიდან აცილებისა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმების თავიდან აცილების მიზნით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანაში კვლავ ნარჩუნდება შეზღუდვა გადაადგილებაზე 21:00-05:00 საათამდე პერიოდში; ასევე, ძალაში რჩება შაბათ-კვირას კვების ობიექტებთან დაკავშირებით მოქმედი შეზღუდვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი მუშაობენ მხოლოდ გატანის სერვისზე;

ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს გადaწყვეტილებით, მაქსიმალურად გამკაცრდება იზოლაციაში მყოფი პირების, კონტაქტების და ქვეყანაში შემომსვლელების თვითიზოლაციის კონტროლი; ასევე - საზღვარზე შემოსული პირების პისიარ-კვლევის ჩატარების მონიტორინგი 72 საათის გასვლის შემდეგ;

საწარმოებში, სადაც გამოვლინდება შემთხვევები, მაქსიმალურად უნდა გამკაცრდეს ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ზომები და დამსაქმებელთა მაქსიმალური ჩართულობით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს აქტიური ტესტირება;

კიდევ უფრო მკაცრად გაკონტროლდება პირბადის სწორად მოხმარება და დისტანციის დაცვა, ასევე ხალხმრავალი შეკრებები, მათ შორის სოციალური ღონისძიებები, რომელთა გამართვა მთავრობის დადგენილებით აკრძალულია;

საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, მაქსიმალურად დაიცვან დადგენილი რეგულაციები, გამოიყენონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და უარი თქვან ხალხმრავალი შეკრებების ორგანიზებასა თუ მათში მონაწილეობაზე, რათა თავიდან იყოს აცილებული ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების მკვეთრი დამძიმება და მკაცრი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობა.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე ვაქცინაციის პროცესის კიდევ უფრო გააქტიურების მნიშვნელობა. აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში ქვეყანა ვაქცინების ახალ დოზებს მიიღებს. პარალელურად, პრემიერ-მინისტრის დავალებითა და უშუალო ჩართულობით, გრძელდება აქტიური მოლაპარაკებები ვაქცინის მწარმოებლებსა და პარტნიორ სახელმწიფოებთან, დამატებითი დოზების რაც შეიძლება მოკლე ვადაში მობილიზების მიზნით. ამასთან, ვაქცინაციის გაფართოების გეგმის შესაბამისად, ვაქცინაციაში ჩართული პრიორიტეტული ჯგუფები ეტაპობრივად გაიზრდება, რათა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის პროცესი მაქსიმალურად სწრაფი ტემპით წარიმართოს.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 299 038 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 282 869 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 3 971 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 249 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 575 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 3363 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია”, - ნათქვამია ინფორმაციაში.

იმსჯელეს შიდა ქართლში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულს მამუკა საღარეიშვილს, გორისა და ატენის მიტროპოლიტს მეუფე ანდიას, მუნიციპალიტეტების მერებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა შეაფასეს. ასევე, მოსალოდნელ პროგნოზებზეც იმსჯელეს და ხაზი გაუსვეს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვის აუცილებლობას.

როგორც რწმუნებულმა აღნიშნა, შიდა ქართლში ამ დროისთვის დადებითი შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება არ არის, თუმცა მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად სიტუაცია მაქსიმალურად კონტროლდება. „მართალია, შიდა ქართლში შემთხვევების საგანგაშო მატება ჯერ არ გვაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ სამწუხაროდ, ქვეყნის მასშტაბით, უკვე რამდენიმე დღეა, იმატებს შემთხვევები. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად, ვისაუბრეთ ამ მიმართულებით რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე, არსებულ რესურსებზე როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ადამიანური რესურსის კუთხით”, - განაცხადა მამუკა საღარეიშვილმა.

ტრენინგი, რომელიც საქმის წარმოების გამჭვირვალობას და თვითმმართველობის ეფექტურობას შეუწყობს ხელს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეგიდით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA) ახორციელებს პროექტს „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება”.



ხაშურის მუნიციპალიტეტში პროექტით გათვალისწინებული დანერგვის ეტაპი დაიწყო. თანამშრომელთა გადამზადება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

ტრენინგებს უძღვება ა(ა)იპ „ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“-ს ბიზნეს ანალიტიკოსი გიორგი რაზმაძე.

პროექტი ქვეყნის 63 მუნიციპალიტეტში ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნას ითვალისწინებს.

პროექტის მიზანია ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნის გზით ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაზრდა, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს თვითმმართველობების გაძლიერებას, საქმისწარმოების გამჭვირვალე პროცესებს, ელექტრონულ სერვისებზე ონლაინ წვდომის შესაძლებლობასა და შემცირებულ ბიუროკრატიას.

ვიცავთ გარემოს, ნიშნავს - ვიცავთ საკუთარ თავს

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ღონისძიებები განხორციელდა.

დასუფთავდა ხაშურიდან სოფელ ხცისამდე მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორია.

აქციაში ჩართულები იყვნენ სამხარეო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის სხვა წარმომადგენლები. ასევე, ორგანიზაცია ა(ა)იპ „ხაშურსერვისი.“

დედამიწის საერთაშორისო დღე 192 ქვეყანაში აღინიშნება, საქართველო მათ რიცხვს 1990 წლიდან შეუერთდა.

სოფელ ხცისამდე მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული გარემოსდაცვითი ღონისძიება, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.

სურამში, სარაჯიშვილისა და ამაღლების ქუჩების რეაბილიტაციის პროექტები ხორციელდება

სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება 187 563 ლარია. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ჰედეფ ჯორჯია“ ახორციელებს.

„ჰედეფ ჯორჯია“ მუშაობს ამაღლების ქუჩის რეაბილიტაციაზეც. მოასფალტების სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 155 377 ლარია.

ამაღლებისა და სარაჯიშვილის ქუჩები სურამის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს წარმოადგენს. შესაბამისად, მოასფალტებული გზით 500-ზე მეტი ადგილობრივისა და დამსვენებლის გადაადგილების პირობები გაუმჯობესდება.

- გენდერული თანასწორობა -

ისაუბრეს ქალთა უფლებრივ მდგომარეობასა და ამ მხრივ, რეგიონში არსებულ გარემოზე

ამ დღეებში, ხაშურში, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ იურისტმა ცირა ჯგერენაიამ, ახალგაზრდებთან ერთად გამართა შეხვედრა ადგილობრივ ქალებთან და გოგონებთან. „საფარს“ ხაშურის მესამე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები: მარიამ ლომიძე, ანი გორგაძე და ნინი გიგაშვილი მასპინძლობდნენ.

ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაციული მოპყრობა, ქალთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაული, სექსუალური შევიწროვება,- ის ძირითადი აქცენტებია, რაზეც შეხვედრის სტუმარმა, იურისტმა ცირა ჯგერენაიამ ვრცლად ისაუბრა თემის პრეზენტირებისას.

ცირა ჯგერენაია, „საფარის“ იურისტი: „დღევანდელი დღის მიზანი იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარმა“, რაც შეიძლება მეტ ქალს და გოგონას მივაწვდინოთ ხმა, მივაწოდოთ ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, დავეხმაროთ ძალადობის ფორმების იდენტიფიცირებაში და ჰქონდეთ წვდომა იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება დაიცვან თავი ძალადობისაგან.“

შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს აპლიკაცია Safe You-ს შესაძლებლობებზე, საჭიროებასა და გამოყენების ინსტრუქციაზე. დისკუსიის რეჟიმში განხილულ იქნა Safe You-ს შესაძლებლობები და თავდაცვის გზები. საუბარი, ასევე შეეხო ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და ამ მხრივ, რეგიონში არსებულ გარემოს.

“შეხვედრა ინტერაქტიულად მიმდინარეობდა და მონაწილეებმა შეძლეს, მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე. განსაკუთრებით მაღალი იყო ადგილობრივი გოგონების ჩართულობა, როგორც შეხვედრის ორგანიზებისას, ასევე – მიმდინარეობის დროს. ისინი დაინტერესებულნი არიან ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებით თავიანთ თემში და აპირებენ მომავალშიც მიიღონ მონაწილეობა აქტივობებში, რომელიც ქალთა უფლებების მიმართ საზოგადოებრივი მგრძნობელობის ზრდას შეუწყობს ხელს”, - განაცხადა ცირა ჯგერენაიამ.

მარიამ ლომიძე, ხაშურის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე: „ჩვენ ვაპირებთ, რომ სხვა სახის შეხვედრებიც მოვაწყოთ, ისეთი გარემო შევქმნათ, სადაც ერთმანეთისთვის ისტორიების გაზიარება შეგვეძლება. ვგეგმავთ წამოვიწყოთ ონლაინ კამპანიაც, რაც უფრო მასშტაბური იქნება და ბევრი ადამიანი ჩაერთვება. აქედან გამომდინარე, ვაპირებთ რომ გავფართოვდეთ“.

თეა ახალკაცი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,)

იმავე წლის 12 სექტემბერს, „ივერიამ“ გამოაქვეყნა ცნობა მ სუხიევის (სუხიაშვილი) მიერ ქშწკგს – ისათვის ხელნაწერების შეწირულობის შესახებ: „წერა – კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავს შემოსწირა ზემო ჭალის მღვდელმა მათე სიხიევმა შემდეგი წიგნები: 1) ხრონოგრაფია არჩილ მეფისა, მხედრული ხელთნაწერი; 2) ჟამნი, ლოცვანი და სადღესასწაულო, ერთწიგნად,ხუცური ხელთნაწერი და 3) ტიბიკონი,დაბეჭდილი მეფე ვახტანგის დროს 1710 წელს. გამგეობა საზოგადოებისა გულითადს მადლობას უძღვნის შემომწირველს“.

ე. თაყაიშვილმა, თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1889 წლის 11 სექტემბერს, ქშწკგს –ის გამგეობის სხდომაზე წინადადება შეიტანა სოფ. ზემო ჭალაში საზოგადოების აგენტად მღვდელ მათე სუხიევის (სუხიაშვილი) დანიშვნის შესახებ. სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ივანე მაჩაბელი, ნიკო ცხვედაძე, დ. ფავლენიშვილი, გიორგი იოსელიანი და ნიკო მთვარელაშვილი, ერთხმად მიიღო „აზრი გამგეობის წევრის თაყაიშვილისა, რომ ს. ზემო ჭალაში აგენტად დაინიშნოს მღვდელი სუხიევი“.

ე. თაყაიშვილმა შეისწავლა და გამოაქვეყნა ეკლესიაში დაცული ყველა მნიშვნელოვანი ნივთი და ხელნაწერი, მათ შორის განსაკუთრებით ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა X საუკუნის პირველხარისხოვან ძეგლს – პარხლის ხელნაწერს და XVI ს-ის ოქრომჭედლობის შესანიშნავ ნიმუშს – ღვთისმშობლის ვერცხლის კარედი-ხატს.

„ზემო ჭალაში, – იგონებს ე. თაყაიშვილი, – იქაურ მღვდელთან, გვარად სუხიევთან ვნახე ერთი შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ახლა „პარხლის სახარების” სახელითაა ცნობილი. რადგან მღვდელმა არაფრით არ ინდომა მოცემა, დავიწყე მასთან სიარული და დავიწყე შესწავლა ხელნაწერისა”.

ე. თაყაიშვილმა გაარკვია, რომ „... ხელნაწერში ყველაფერი სრულად იყო დაცული და, მეორეც, რომ იგი გადაწერილი ყოფილა იმავე იოანე ბერის მიერ, რომელსაც გადაუწერია შატბერდის კრებული... ოღონდ შატბერდის ხელნაწერი უთარიღო იყო და მას კი ეწერა თარიღი: ქართული ქორონიკონიცა და ქვეყნის შექმნიდანაც – ჩვენი წელთაღრიცხვით 973 წელი”.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის მიერ შატბერდის კრებული დათარიღებული იყო IX საუკუნით.

ე. თაყაიშვილმა, დ. ბაქრაძის მოსაზრების საპირისპიროდ, პარხლის ხელნაწერის მიხედვით დაადგინა, რომ „...X საუკუნე გამოვიდა შატბერდის კრებულის ხნოვანებაც, რაკი ერთისა და იმავე გადამწერის ნახელავი ყოფილა ორივე ხელნაწერი”.

„ეს უკვე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო. გარდა ამისა, მინაწერში ნათქვამია, რომ იოანე ბერამ კრებული შატბერდში კი გადაწერა, მაგრამ პარხლის ახალი ეკლესიისათვის. ამიტომ დავარქვით „პარხლის ხელნაწერი” – აღნიშნავს ექვთიმე.

ე. თაყაიშვილმა ხელნაწერის გადაღებაც სცადა ჯერ ფოტოგრაფ ერმაკოვის დახმარებით, მაგრამ არ მოხერხდა, „რადგან ეტრატი ძალიან გაყვითლებული იყო.” შემდეგ, 1894 წელს, ცნობილი მხატვარ-გრავიორის გ. ტატიშვილის დახმარებით მთლიანად გადმოიღო ხელნაწერი და მოგვიანებით გამოაქვეყნა.

ე. თაყაიშვილი შეეცადა, შეეძინა ეს ხელნაწერი, მაგრამ „ვერაფრით, ვერა ფასად ვერ მოვაყიდვინე ზემოჭალელ მღვდელ სუხიაშვილს პარხლის ხელნაწერი” – ამბობს ე. თაყაიშვილი.

პარხლის სახარება ნაწერია მაგარ და კარგად შენახულ ეტრატზე ხუცური ასომთავრულით. ტექსტი ნაწერია ორ სვეტად. თითოეულ სვეტში 20-20 სტრიქონია. სათაურები, ზოგიერთი მეთაური ასოები და იშვიათი სტიქონები შესრულებულია წითელი მელნით, დანარჩენი ტექსტი კი შავი მელნით.

ხელნაწერი შეიცავს 248 ეტრატის ფურცელს, ბოლოს მიმატებულია ქაღალდის 21 ფურცელი, რომელზეც სხვა ხელით შედგენილია „სარჩევი და საძიებელი.” ეს „სარჩევი და საძიებელი” შედგენილია 1744 წელს არხიდიაკონის ნიკოლოზის მიერ. მანვე აღადგინა და გამართა ეს ხელნაწერი. 1739 წელს, კერძოდ, მან აღადგინა ხელნაწერის პირველი რვა ფურცელი, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდებიან დანარჩენი ფურცლებისაგან. ეტრატის ეს ფურცლები უფრო თხელი, რბილი, თეთრი და ახალია სხვებზე. ამავე დროს მელანიც ძლიერ შავია, ძველი ტექსტებისა კი შედარებით მქრალია და რაც მთავარია, ამ ფურცლების ხელი საგრძნობლად განირჩევა ძველისგან.

ასევე აღადგინა ხელნაწერში მათეს სახარების დაკარგული ერთი ფურცელი.

ხელნაწერი ხის მაგარ, შავ ტყავგადაკრულ ყდაშია მოთავსებული, რომლის ზედაპირზეც გამოხატულია ჯვარცმა. ხელნაწერს მათეს სახარების ბოლოში გაკეთებული აქვს ნუსხა-ხუცურით წვრილი და ლამაზი ასოებიანი მინაწერი: „ქ(რისტ)ე მეუფეო, ყ(ოვლი)სა მპყრობელო, შეიწყალე გლახაკი იოვანე, მწერალი ამის წიგნისაი, მ(ეო)ხებითა წ(მიდა)თა მახარებელთა შ(ე)ნთა თანა“.

ამავე ფურცლის მეორე სვეტში მერმინდელი მინაწერია ხუცური ულამაზო ასომთავრულით: „მოიხსენე, უფალო, კანდელაკი მღრდელი იოვანე, ამინ”.

ამ მინაწერს მოსდევს ასევე გვიანდელი ნუსხა-ხუცურით შესრულებული მინაწერი: „ადიდეს უფალმან ბატონი ვახუშტი აბაშიძე, რომლის ბრძანებითა ვმართავ სათვალავსა წმინდისა ამის სახარებისას მე კინდა სახელისა (ს-ხელისა) მთავარ დიაკონი ნიკოლოზ (ნიკ-ზ), მრავალჟამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა კეთილათ (კ-ლთ) ცხოვრებასა. გევედრები ყოველთა, უფალთა ჩვენთა, რათა ჩემ უბადრუკისათვის მცირედსა ხსენება ყოთ. ჩემთა შეწყალებათათვის თქვენცა უფალმან წყალობა გცეს დღესა-მას განკითხვისასა”.

მაინც როგორ მოხვდა პარხლის ცნობილი ხელნაწერი ზემო ჭალის ეკლესიაში? ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მისი თავგადასავალი, რაზეც თავად ხელნაწერის მინაწერები მოგვითხრობენ.

მარკოზის სახარების დასასრულს,ტექსტისავე ხელით,ლამაზი ნუსხა-ხუცურით წერია: „ქ(რისტ)ე, შეიწყალე ბერაი წერალი, ამინ“.

იოვანეს სახარების შემდეგ ისევ ლამაზი ნუსხა - ხუცურით ტექსტისავე ხელით გაკეთებულია მინაწერი (რომელსაც ბოლოში ერთი სტრიქონი აკლია): „უფალო, იესო ქრისტე ცხოველთა და მკვდართა მეუფეო, შეიწყალე იოვანე ბერაი, მწერალი ამისი, გლახაკი სულითა, მეოხებითა წმიდათა მახარობელთა შენთაითა. წმინდანო ღუთისანო, ვინ იკი(თხვიდეთ)...“.

ხელნაწერის ეტრატის ბოლო ფურცლის წინა ფურცელზე მოთავსებული იმავე ხელით შესრულებული ვრცელი წარწერა გვამცნობს შემდეგს: „სახელითა მამისათა და დისაითა და სულისაწმიდისაითა, მეოხებითა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღუთის – მშობლისა, მარადის ქალწულისა მარიამისთა, ძალითა ცხოველს ყოფელისა პატიოსნისა ჯვარისაითა, მეოხებითა წმიდისა და ნეტარისა წინასწარმეტყველისა იოვანე ნათლისმცემლისათა, მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა და ყოვლათ ქებულთა მოციქულთათა და წმიდათა წინასწარმეტყველთაითა, მეოხებითა წმიდათა მახარობელთათა მათეი, მარკოზ, ლუკა და იოვანესითა, მეოხებითა წმიდათა მოწამეთაითა და ღირსთა მღვდელთ მოძღუართაითა და ნეტართა მამათაითა, ღირს ვიქმენ მე გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებათ წმიდასა ამას სახარებასა, ოთხთავსა, მოღვაწეობითა სულისა წმიდისაითა და შეწევნითა ღუთით (ღ-თ) შემოსილთა კაცთაითა, სალოცველათ სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებლად თავისა ჩემისა, და სალოცველად სულსა ყოფელსა ჩემთასა და ყოველთა თვისთა ჩუენთათვის სულიერთა და ხორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩენთათვის: ღუთივ დაბადებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთავისა და ღვთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათვის. ქტისტემნა ყოველნი ადიდენინ მოწყალებითა მისით ჟამთა უკუნისამდე.

აწ ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებათ წმიდასა ამას სახარებასა მოიხსენეთ სული ჩემი ცოდვილი წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, და ყოველთა ერთობით მოგვანიჭენინ ღმერთმან კეთილნი საუკუნენი, და ყოველნი ღირციმცნა ვართ სასუფეველთა ცათა და სანატრელსა. მის ხმის სასმენად ქრისტეი იესოს მიერ, ღუთისა ჩუენისა ძისა, დიდება ეკლესიასა შინა მამისა თანა სულით წმიდითურთ საუკუნეთა მიმართ საუკუნეთასა, ამენ.

დაიწერა დასაბამითგან წელთა სფოზ.

ქორნიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რჟგ.

ამ მინაწერს მოსდევს ბერძნული წარწერა: „ქრისტე შეეწიოს. იოანემ დასწერა. ამინ.“ აქვე, მეორე სვეტზე არის გვიანდელი მინაწერი: „მოიხსენა უფალო მონა შენი კანდელაკი მღვდელი ივანე. ამინ, ამინ, ამინ“.

ხელნაწერზე იოანე–ბერას ანდერძის ქვემოთ მოთავსებულია მისივე ნუსხ-ახუცურით ნაწერი სხვა ანდერძი, რომელშიც ნათქვამია: „შევსწირე წმინდასა ეკლესიასა პარხლისასა (იოვანე ნათლისმცემლისასა)“.

ხელნაწერის უკანასკნელ ეტრატის ფურცელზე ნუსხა ხუცურით მიწერილია ანდერძი: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღუთივ გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა, ადიდენინ ღმერთმან ღუთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოისა მწყემსისა და კეთილად მოღუაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა...

აწ ვინცა ვინ რისაცა მიზეზითა გამოახუას წმიდასა ნათლისმცემელსა, ანუ გაძღუანოს იგინი, გაყიდოს და ჩუენი სასყიდელი და გულსმოდგინებაი დაამხუას, გამცაურისხდების თავადი ღმერთი, და ნაწილიმცა მისი იუდასთან არს ისკარიოტელსა, და წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისა მკვლელთამცა თანა დაიშჯების და ესე წმიდანი მახარობელნი არიან მსაჯულნი მისნი დღესა მას აღდგომისასა საშინელსა, ოდეს ყოველი დაბადებული წარმოდგეს განკითხვად მსაჯულსათა, რომლისა არს დიდება უკუნი-უკუნისამდე, ამინ.

და ამასვე პირსა ზედა მეფეთა სიმტკიცე დაწერინ, ადიდენინ ღმერთმან.

მე, ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველათ ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან!”.

როგორც ვხედავთ, იოანე-ბერას 973 წელს შატბერდში გადაწერილი ხელნაწერი პარხლის ახლად აშენებულ იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისთვის შეუწირია. ამავე დროს სასტიკად დაუწყევლია ყველა, ვინც „რაითაცა მიზეზით” ამ წიგნს ეკლესიიდან გამოიტანდა გაჩუქების („გაუძღუანოს”) ან გაყიდვის მიზნით.

შემდგომში ხელნაწერი დიდი ხნის მანძილზე პარხლის ეკლესიაში ინახებოდა, მაგრამ როცა ტაო-კლარჯეთი ოსმალებმა დაიპყრეს მათ არაფრად მიუჩნევიათ ქართველი მწიგნობრის წყევლა-შეჩვენება და ხელნაწერი მათი ნადავლი გამხდარა.

მხოლოდ 1739 წელს გახდა შესაძლებელი, ოსმალთა ხელიდან ვახტანგ VI-ის სიძეს – ანუკა ბატონიშვილის მეუღლეს – ვახუშტი აბაშიძეს გამოეხსნა დატყვევებული ძვირფასი ხელნაწერი. მას თავის უმცროსი შვილისთვის – ნიკოლოზისთვის დაუვალებია ხელნაწერის აღდგენა-განახლება. ნიკოლოზი დიდი გულისხმიერებით მოკიდებია მინდობილ საქმეს, შეუვსია ოთხთავის დაკლებული ადგილები, თავებად და მუხლებად დაუყვია მთელი ტექსტი და დაურთავს საკითხავთა საძიებელი. ამ საქმიანობაზე აღდგენილ ფურცლებზე მისივე ხელით მინაწერ ანდერძში ნათქვამია: „ქ. მას ჟამთა,ოდეს საათაბაგონი წმიდისა სარწმუნოებისაგან განსრულიყვნენ და სარკინოზნი შექმნილიყვნენ, ეს წმინდა სახარება იქაური ყოფილიყო და უსჯულოთაგან დატყვევებულიყო. და დიდად სახელოვნობით გამოჩენილის მეფედ სიძობით მყოფს და თვით მეფის ვახტანგის სიძეს, აბაშიძეს ვახუშტის, ეს წმინდა სახარება თათრის ხელით დიდის სურვილით და სასოებიანის გულით დაეხსნა.

კვალად ჭინახული და ხელმეორეთ განახლება მნახავთა იუწყეთ: ჩვენ, სურვილითა და სიყვარულით შეტკბობილმა ბატონის მამის ჩვენის უმცროსმა შვილმა და მეფეთ მეფის ვახტანგის ასულის ბატონიშვილი ანუკას ძემან, თვით აბაშიძემ ნიკოლაოზ, ვიგულსმოდგინე, და შენ, დიდსა ღვთისასა, წმინდასა მღთისმშობელსა ხახულისასა, ციხესა შინა, წმინდასა შენსა სადგურსა ეკლესიასა, ბულბულის ციხის პატარას საყდარში დავიდევით და შამოგწირეთ წმინდა ესე ოთხთავი. თვესა სეკდებერსა (8), ქრონიკოს უკზ”.

ერთ-ერთი მინაწერი გვამცნობს ხელნაწერის ხელმეორედ გამართვის მიმდინარეობასაც. მასში ნათქვამია: „ადიდეს უფალმან ბატონი ვახუშტი აბაშიძე, რომლისა ბრძანებითა ვმართავ სათვალავსა წმინდისა ამის სახარებისას მე კინდა სახელისა (ს-ხლისა) მთავარ დიაკონი ნიკოლოზ (ნიკ-ზ), მრავალ ჟამიერ ყოს უფალმან ორსავე შინა კეთილათ (კ-ლთ) ცხოვრებასა. გევედრები ყოველთა, უფალთა ჩვენთა, რათა ჩემ უბადრუკისათვის მცირედსა ხსენება ყოთ; ჩემთა შეწყალებათათვის თქვენცა უფალმან წყალობა გცეს დღესა–მას განკითხვისასა”.

1744 წელს ნიკოლოზს დაუმთავრებია ხელნაწერის განახლება, რაზეც საძიებლის ბოლოს დართული ანდერძი მიგვანიშნებს: „უფალმან განაძლიეროს და ადიდეს ორსავე ცხოვრებასა ბატონი აბაშიძე ვახუშტი, რომლისა ბრძანებითა ძუელად ნაწერი მგრგლოვანი ესე წმიდაი სახარებაი კვალად გავმუხლე სათვალავით და საძიებლითურთ. გევედრები მკითხველთა, რათა მცირედმცა ხსენებას ჰყოფდეთ ჩემ უბადრუკისა მთავარ-დიაკონის ნიკოლოზისათა. დასაბამითგან სკნბ, ქრისტეს აქეთ ჩღმდ, ქორონიკონს ულბ”.

ხელნაწერში ნიკოლოზის სხვა არაერთი მინაწერია. ხშირად მეორდება ერთიდაიგივე ფრაზა „შეიწყალე აბაშიძე ვახუშტი, ამინ”. ერთ-ერთ გვერდზე მიწერილია: „ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა აბაშიძე ვახუშტი”. „წმინდანო მოციქულნო და ყოველნო წმინდანო მეოხ და თანა შემწე ექმენით პატრონსა და მკითხველსა წიგნისა ამის ორსავე ცხოვრებასა, ანმინ” – ნათქვამია ერთ-ერთ მინაწერში.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია

80 წელი გავიდა დიდი სამამულო ომის დაწყებიდან. რა ხდებოდა მაშინ ჩვენს რაიონში, როგორი იყო საერთო ფონი და პოლიტიკური თუ ეკონომიკური სურათი? რა თქმა უნდა, ამ მცირე სტატიებით შეუძლებელია ყველაფრის ამის ასახვა, მაგრამ ოდნავ წარმოდგენას მაინც გვიქმნის. რაიონულ გაზეთში 1941 წელს გამოქვეყნებული ეს მასალები, დღევანდელი გადასახედიდან, ღიმილსაც კი იწვევს, მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა და ჩვენი წარსულია და, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის. მაშ ასე: 1941 წელი, რაიონული გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ (ასეთი „მქუხარე“ სახელი ჰქონდა რაიონულ გაზეთს).

ვაყელი მასწავლებლები ენერგიულად იბრძვიან

ვაყელი მასწავლებლები ენერგიულად იბრძვიან სასოფლო საბჭოში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის აღმოფხვრისათვის. მასწავლებლები ერთიმეორეს ეჯიბრებიან აღებულ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებისათვის.

არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელთა ვალდებულებაა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 21-ე წლისთავისათვის სასოფლო საბჭოში ძირითადად დაამთავრონ წერა-კითხვის უცოდინარეობისა და მცირემცოდნეობის აღმოფხვრა.

ჯერ კიდევ გასული წლის 20 დეკემბრისათვის 29 უცოდინარიდან წერა-კითხვა შესწავლილი ჰქონდა 17-ს, ხოლო მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლა 119-დან დაამთავრა 71-მა. ამრიგად ვალდებულება განაღდებულია 60 პროცენტით.

ვალდებულების განაღდებისათვის წარმატრებით მუშაობენ მასწავლებლები: კლ. ლომიძე, ეთ. ტალახაძე, გ. ებანოიძე, ვ. აბრამაშვილი, ო. ოგანეზოვი, ლ. არბოლიშვილი, პრ. გონგლაძე და სხვები.

ვაყელმა მასწავლებლებმა კულტაქტივის უკანასკნელ თათბირზე ივალდებულეს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-მცოდნეობის აღმოფხვრა მე-18 პარტკონფერენციის გახსნის დღის - 15 თებერვლისათვის დაამთავრონ.

დ. ტეფნაძე

მუშაობა ჩაიშალა

მოწინავეა გვერდისუბნის კოლმეურნეობა, იქ არსებული კომკავშირის ორგანიზაცია კი ჩამორჩენილი. კომკავშირის მუშაობა არ ჩანს კოლმეურნეობაში. მდივანი ო. მჭედლიძე წითელ არმიაშია გაწვეული და ორგანიზაცია სვსებით უმოქმედოდ არის. მოუწესრიგებელია კომკავშირული მეურნეობა, ორგანიზაციას არა თუ ოთახი, საკუთარი მაგიდაც არ აქვს. სურამის ტერიტორიალურ პარტიულ ორგანიზაციას ყურადღება არ მიუქცევია ამ ორგანიზაციისათვის.

საქონელი დაასუსტეს

საგაზაფხულო თესვისათვის ცუდად ემზადება დამჩხეულის მეორე უბნის კოლმეურნეობა. 12 უღელი ხარიდან ძალზე დასუსტებულია 5 უღელი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიეცა მითითება, რომ ძლიერ დასუსტებლი მუშა-საქონელი გადაეყვანა გაძლიერებულ კვებაზე, მაგრამ მას დღემდე ჩვეულებრივ კვებავს.

ბოსელში სიბნელესთან ერთად ანტისანიტარული მდგომარეობაა. **ალ. ქამუშაძე, აგრონომი**

***

ხაშურის რაიმილიცია, თანახმად მშრ. დეპ. ხაSურის რაიონული საბჭოს 1940 წლის 25 სექტემბრის დადგენილებისა, ველოსიპედის მქონე მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებას, რომ ისინი ვალდებული არიან მშრ. დეპ. ხაშურის საქალაქო საბჭოში, 15 თებერვლამდე, შეიძინონ ველოსიპედის სტანდარტული ფორმის ნომრები. წინააღმდეგ შემთხვევაში უნომრო ველოსიპედები ჩამოერთმევათ.

ხაშურის რაიმილიციის უფროსი დოღონაძე

მღერის ბედნიერი ხალხი

20 წელია, რაც ჩვენმა სამშობლომ, საქართველომ მიიღო თავისი ნანატრი ხვედრი, 20 წელია დაჰნათის თავზე დიადი სტალინური მზე.

მხოლოდ 20 წელია, რაც მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ ბედნიერება. გაჰქრა რევოლუციამდელი საქართველოს სახე, რომელსაც ვაჟა-ფშაველა ყორნებისაგან დაკორტნილს, დაჭრილ არწივს ადარებდა.

ყველა გრძნობს ღრმა სევდას არა მარტო ბარათაშვილის ნაწარმოებებში, არამედ ილიას, ვაჟას, აკაკისა და სხვათა ნაწერებშიაც. თვით საქართველოს ცხოვრების მატიანეც ხომ არა ერთი და ორი სევდიანი სტრიქონებით არის დასერილი.

მაგრამ საქართველოს საუკეთესო შვილებს ყოველთვის სწამდათ შინაური და გარეშე მტრებისაგან დჩაგრული სამშობლოს ბრწყინვალე მომავალი:

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
ასეთი მგრძნობიარე წინასწარმეტყველური სიტყვებით მიჰმართავდა სამშობლოს ილია ჭავჭავაძე. იმედიანად ამბობდა აკაკიც:
„არ მომკვდარა!..
მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს.“

გაჰქრა საქართველოს ნამდვილი შვილების ხმაში სევდა და ნაღველი. მშრომელი ხალხის მიერ ანთებულმა ხანძარმა მოსპო არწივების მშობელი ქვეყნის საუკუნოებრივი სევდა და მის შვილთა ხმაშიც აღფრთოვანებამ და სიხარულმა დაისადგურა.

თანამედროვეობის დიდი მწერალი, გ. ტაბიძე რევოლუციის დღეებმა უდიდესი სიხარულისა და სიცოცხლისადმი სიყვარულის გრძნობებით აავსო. იგი გატაცებით უმღერის აყვავებულ ცხოვრებას:

“გაცოცხლებულა
ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არცა სადარი,
სულ რომ არ იყო
ქვეყნად ღიმილი,
შეჰხედე ეხლა რას იღიმიან”

გაჰქრა ღრმა სევდა საქართველოს შავბედითი ხვედრისაგან გამოწვეული და ბედნიერ საქართველოს უდიდესი გატაცებით უმღერიან მისი თავდადებული შვილები.

უმღერიან ჩვენი ცხოვრების გენიალურ შემოქმედს იმ გმირს, რომელსაც არა ერთი და ორი ადამიანი წინასწარმეტყველებდა; უმღერიან ჩვენი სამშობლოს უდიდეს ადამიანს - მშობლიურ სტალინს.

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე გაჰქრა სევდიანი სიმღერა საქრთველოზე და მისი ადგილი აღტაცებამა და სიხარულმა დაიჭირა. ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდობას, მგზნებარე პატრიოტებს უყვართ ლაღი სამშობლო, იციან, რომ მისი ბედნიერება და საზღვრები ხელშეუხებია და მტკიცედ იმეორებენ ვაჟასეულ სიტყვებს:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვის შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მტერსაც კი გაეცინება.“

ეს სიტყვები არა ერთხელ გაუმართლებია საქმით საბჭოთა ხალხს. მტრებმა კარგად იციან ამ სიტყვების ფასი. **ს. ტყემალაძე**

ბ უ ხ ჰ ა ლ ტ ე რ ს პ ე კ უ ლ ა ნ ტ ი

ბუხჰალტრად ასაღებდა თავს მოქალაქე გიორგი მუმლაძე, მაგრამ ბუხჰალტრობაზე უკეთესად სხვა სპეციალობას ასრულებდა.

კოკას წყალი ყოველთვის არ მოაქვსო - ამბობს ქართული ანდაზა. მუმლაძესაც ასე დაემართა. როგორც სხვა დაწესებულებებში მუSაობისას, იგი თავდაცვა ავიაქიმის რაისაბჭოშიც შეეცადა დამხმარე პირის გამოძებნას. კიდეც გამოძებნა თავისი აზრით, მაგრამ შეცდა და მისი მოქმედება - სპეკულანტობა გამომჟღავნებულ იქნა.

დამლაგებელ ქალს დუბოვას მუმლაძემ ბაზარზე გასასყიდა გადასცა პრიმუსი, კალოშები, ფეხსაცმელები... დუბოვამ როგორც ეს საბჭოთა მოქალაქეს შეშვენის, აღნიშნული საქონელი ბაზრის ნაცვლად რაიმილიციაში წაიღო.

მუმლაძის ბინის გაჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა მრავალი ფართო მოხმარების საქონელი.

გომის უბნის სახალხო სასამართლომ 20 მარტს ბუხჰალტერ-სპეკულანტ გიორგი მუმლაძეს 5 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა მიუსაჯა.

კ ო ნ ა, წ ო ნ ა დ ა ზ ა რ ა ლ ი

მწვანილი სუფრას ამშვენებს, ადამიანის ორგანიზმისაათვის კი სასარგებლოა. მას ამიტომაც გვთავაზობენ გულუხვად ხაშურის რკინიგზის ბუფეტში, სადაც „პორციობით“ გაყიდვა აკრძალულია. ვთქვათ, გინდათ ბოლოკი, უსათუოდ ერთი კონა უნდა მოითხოვოთ, ხახვი გინდათ? ისიც ერთი კონა უნდა მიირთვათ. შეიძლება ერთი კონა ხახვი ან ბოლოკი არ შეჭამოთ, ეს არაფერია. სუფრას რომ აალაგებენ, რაც დაგჩებათ, მასაც წაიღებთ, მერე კი, ხომ არ გადაყრიან, ეკონომიისათვის იბრძვიან, გამოიყენებენ... შენ კი მთელი კონა ხახვის ან ბოლოკის ფასი უნდა გადაიხადო.

სწორედ ასე იყო 8 მაისს. ოფიციანტმა განმარტა: „პორციობით“ მწვანილის გაყიდვის წინააღმდეგ მებუფეტეებმა პროტესტი განაცხადეს - წონით გაყიდვა საზარალოაო. - თუ სალაპარაკო გახდება, ბატონო, ხვალიდან ბუფეტში მწვანილს აღარ მოვიტანთო - შეგვპირდა ოფიციანტი და მართლაც, მეორე დღიდანვე მისი შეპირება საქმედ აქციეს.

ვინ მისცა უფლება ხაშურის რკინიგზის ბუფეტის ხელმძღვანელებს მომხმარებლის აბუჩად აგდებისა და ვაჭრობის წესების დამახინჯებისა? რას გვეტყვის ამის შესახებ რაივაჭრობის ინსპექტორი ამხ. ღონღა ძე? ფ.ლ.

დიდი ბელადის მოწოდების საპასუხოდ

განუზომელი ყურადღებით მოისმინეს ხაშურის რკინიგზელებმა 3 ივლისს მშობლიური სტალინის მიერ წარმოთქმული გულში ჩამწვდომი, საპროგრამო სიტყვები. ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში, ცვლასა და საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგები. ამ მიტინგებზე წარმოთქმულ სიტყვებში რკინიგზელები გვიჩვენებენ უსაზღვრო ერთგულებას ლენინ - სტალინის პარტიისადმი, მზადყოფნას საკუთარი მკერდით დაიცვან თავიანთი ღირსება და თავისუფლება.

დიდი სტალინის სიყვარული, მშობლიური ქვეყნის ერთგულება, რომელიც მათს სიტყვებშია გამოთქმული, მათ შრომაშიაც მტკიცდება. უამრავია ამის მაგალითი. რკინიგზელები სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ.

4 ივლისის დღიური დავალება საორთქმავლო დეპოს საკომპლექსო ბრიგადამ 167, მექვაბეთა საამქრომ 186 და დამხმარე საამქრომ 259 პროცენტით შეასრულა. საუკეთესოდ მუშაობენ მემანქანეები: ბათიევი, ტუროვი, ნ. კიკაძე, ვ. ხუციშვილი და სხვები. ივნისი მესამე ათდღიურში მათ დაზოგეს რამდენიმე ათასი კილოგრამი მაზუთი.

ელდეპოელმა ლენინელებმა მოწონელიძემ, ბირკაძემ, გელაშვილმა, ღონღაძემ და ფიჩხაძემ პერიოდული გასინჯვიდან ელმავლის გამოშვებაზე 45 პროცენტით ნაკლები დრო დახარჯეს, ვიდრე საჭირო იყო.

ზეინკლები დიდებულიძე, მ. ხაჩიძე, ხარატი კუჭაიძე და სხვები ორმაგად და სამმაგად ასრულებენ დღიურ ვალდებულებებს. ელდეპოელებმა უკვე მოაწყეს საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სწავლება.

ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ აგრეთვე შჩ-2-ის ენერგო-მომარაგების მე-5 უბნის და სხათა მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც კარგად ესმიოთ, რომ ზურგში მოპოვებული წარმატებანი სწყვეტენ გამარჯვებას ფრონტზე.

ა. ჯანჯღავა

სამამულო ომის ფრონტებზე

„ინებეთ ხურდა“

ლეიტენანტ ვისოცკის ასეული შეტევაზე გადავიდა, მეტყვიამფრქვევე ტერენტიევი ასეულს ეხმარებოდა. იგი შეუჩერებლად უშენდა ტყვიამფრქვევს მტერს.

უეცრად ქვებს იქით გერმანელები გამოჩნდნენ. – „დაგვნებდით“, - დაიღრიალა ერთმა და ხელყუმბარა გადმოისროლა.

აჩქარდა ფაშისტი, ხელყუმბარა ტერენტიევის წინ დაეცა, მაგრამ აფეთქება ვერ მოასწრო,. მამაცმა მეტყვიამფრქვევემ ხელი დასტაცა მას და უკანვე გაუგზავნა ფაშისტებს.

- ინებეთ ხურდა - მიაძახა ტერენტიევმა. სიკვდილის მთესველი ყუმბარა პატრონებს დაუბრუნდათ და ცხვირწინ აუფეთქდათ.

რვა ხელყუმბარა დაუბრუნა უკან ფაშისტებს მამაცმა მებრძოლმა. მტრის იერიში მოგერიებულ იქნა. რამდენიმე მკვდარი დასტოვეს მათ ბრძოლის ველზე.

ტერენტიევის მიერ დაბრუნებული „ხურდა“ მტრისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. („კომუნისტი“)

ჩემი შვილები იცავენ დედა სამშობლოს

ეს იყო ამ 22 წლის წინათ. ქმრის დაღუპვამ თავზარი დამცა. ისეც უჭირდა ჩვენს ოჯახს და ახლა კი 8 უსუსური ბავშვი ჩემს ამარა რჩებოდა. Sიმშილით, სიღატაკეში უნდა დავხოცილიყავით. მაგრამ, აი, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და გული გამინათლდა - მან თავისი მხურვალე და მშობლიური მზრუნველობა გაუწია ჩემს შვილებს - ყველას გაუხსნა სკოლის კარები, სახელმწიფო პენსია დაუნიშნა.

ახლა ჩემი შვილები ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან და მე უსაზღვროდ ბედნიერი დედა ვარ. აი, ვინ არიან ჩემი შვილები - მარიამი და მართა მასწავლებლად მუშაობენ, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით ზრდიან ახალგაზრდობას, საშა - მტს-ის ინჟინერია, ნადია კი სამთო ინჟინერი, ლუიზა აგრონომია, ხოლო მიხეილი - სამხედრო მეზღვაური. სულ უმცროსი გოგი - წელს ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და მოუთმენლად ელის წითელ არმიაში გაწვევას.

ახლა, სტალინური კონსტიტუციის დღეს, მე ვეუბნები ჩვენს საბჭოთა მთავრობას, ჩვენს ბელადს- სტალინს: ჩემი შვილები გაამართლებენ მზრუნველობას, რომელიც თქვენ მათ გაუწიეთ. ისინი არავის დაანებებენ მშრომელთა ბედნიერებას, დიად სტალინურ კონსტიტუციას, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ მათ დასაცავად. ისინი, ჩემი შვილები, თქვენს მიერ აღზრდილნი, ფრონტზე და ზურგში, ბრძოლითა და შრომით აჩქარებენ მტრის დამარცხებას!

ნატა ოყროშიძე, ხაშური

ხაშურმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ქაბუკთა შორის, საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა

ღონისძიება, სადაც 250 სპორტსმენი მონაწილეობდა, ხაშურის სპორტულ კომპლექში გაიმართა.

სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე და სხვა წარმომადგენლები.

„მისასალმებელია ასეთი ტურნირების ჩატარება ჩვენს მუნიციპალიტეტში, ეს ყველაფერი ხელს უწყობს, როგორც პროფესიული სპორტის განვითარებას, ასევე ახალგაზრდების დაინტერესებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ.

თავისუფალ ჭიდაობაში, ჭაბუკ მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გიორგი კვინიკაძის განმარტებით, აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო შემდგარიყო ჭაბუკთა ნაკრები. ეს ნაკრები სამომავლოდ გაივლის გარკვეულ წვრთნებს და მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში. ივნისის თვეში იქნება ევროპის პირველობა, შემდეგ მსოფლიო პირველობა, სადაც გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ხაშურის სპორტულ კომპლექსში გამართული ჩემპიონატის მხარდამჭერები იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის განათლების კულტურის, სპორტის სამსახური და ხაშურის სასპორტო სკოლა.

სალიანდაგო სამმართველო გარემოზე ზრუნავს

გარემოზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. დაჩქარებულმა ინდუსტრიალიზაციამ, სამწუხაროდ, ძალიან დაატყო ხელი ჩვენს საერთო სახლს-დედამიწას და ყველა ვხედავთ, თუ როგორ უარესდება ეკოლოგიური მდგომარეობა ირგვლივ. იგივე სიტუაციაა ქალაქებში და მხოლოდ კონკრეტული და შესაბამისი სამსახურების ძალისხმევა ხშირად უნაყოფოა. ამიტომ, კერძო ინიციატივები მართლაც შესაშურია და მისასალმებელი. სწორედ პირადი ინიციატივა იყო, როდესაც უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველომ გადაწყვიტა, ხაშურის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება. სამმართველოს უფროსის, დიმიტრი ნემსაძის წამოწყებით და ორგანიზებით, შესანიშნავი საქმე გაკეთდა და სამმართველოს თანამშრომელთა ჩართულობით, ტერიტორია მთლიანად გაიწმინდა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ ადგილიდან 15 სატვირთო მანქანა ნაგავი იქნა გაზიდული. როგორც ბატონმა დიმიტრიმ განაცხადა, აქცია არ იქნება ერთჯერადი და მსგავსი ინიციატივები მომავალშიც გაგრძელდება.

მართლაც მადლობა ამ ხალხს, ასეთი კარგი და კეთილი საქმისთვის. იმედია, მათი ინიციატივა სხვა ორგანიზაციებისა თუ სამსახურებისთვის მაგალითი გახდება.

შენ იყავი და ხარ ჩვენთან, ვითარცა ჟამი...

(ნიკოლოზ (ბიჭიკო) ვაშაკიძის სანთელ-საკმეველი)

იცის ყოველმა კაცმა კაცთაგანმა, რომ ადამიანი მოკვდავია და რომ „არვის ძალუძს ხორციელსა გარდუვალის გარდავლენა“, მაგრამ თვით ჩვენთვის სრულიად უცნობი კაცის გარდაცვალებაც სევდიან ფიქრებს აღგვიძრავს და სულსა და გულს გვიმძიმებს, რადგან საკუთარ წარმავლობის აუცილებლობას შეგვახსენებს. ამ საწუთროდან იმ სამკვიდროში მეგობრის წასვლა, რომელიც

შენი ამქვეყნიური ყოფნის თანამონაწილე იყო, ძალიან გულდასაწყვეტი და მტკივნეულია, რაც მეტწილად სამუდამო ნაჭდევად აღიბეჭდება შენს სულსა და გულში. ისეც ხდება, რომ გლოვა ჰეროიკული განცდის ელემენტებითაც ივსება, თუ ის კაცი მარტო ახლო მეგობრებს კი არა, მთელს სოფელს, ქალაქს ან ქვეყანას დააკლდა. ბიჭიკო ვაშაკიძე მთელ ინტელექტუალურ ხაშურს დააკლდა და არა მარტო მას... ცნობილ სამეურნეო მუშაკს, წარმოების თვალსაჩინო ორგანიზატორს, სადაც კი უმუშავია, ხაშურში თუ კასპში, ბორჯომსა თუ სხვაგან, ყველგან კეთილი კვალი, საქმის უბადლო მცოდნისა და გულისხმიერი ხელმძღვანელის სახელი დაუტოვია. წარმოების ბევრი მომავალი ხელმძღვანელი გაიზარდა მის ფრთებქვეშ... მაგრამ ამაზე ახლა არაფერს ვიტყვით. ჩვენი მეგობარი ბიჭიკო ყველასაგან გამორჩეული იყო იმ პიროვნული თვისებებით, რომელსაც დიდი მოწადინეობითაც კი ვერ შეიძენ, უფალმა თუ არ მოგმადლა დაბადებიდანვე... მას მეგობრობის განსაკუთრებული მოთხოვნილება, სიყვარული და ერთგულება ახასიათებდა. მეგობრების მონატრება ხომ სასწაულებრივი იცოდა... ბევრი არც ჭამა უყვარდა და არც სმა, მაგრამ მეგობრებთან შეხვედრა აუცილებლად სუფრასთან უნდა შემდგარიყო. სუფრების ორგანიზატორი უმეტესად თვითონ იყო და მის მიერ გაშლილ სუფრას მისივე დაყენებული ზედაშე ამშვენებდა. თამადაც თვითონვე იყო ხოლმე, მაგრამ ზომიერად, მხოლოდ ღვინის ჭიქით სვამდა, ჩვენგან განსხვავებით, ცხადია! სადღეგრძელო ლოცვააო,-იტყოდა ხოლმე და ილოცებოდა შთამბეჭდავად, გულით, მთელი არსებით. მისი მთავარი სალოცავი ხატი საქართველო იყო და როგორც დიდი პოეტი იტყოდა, ხატად მთელი საქრისტიანო მიაჩნდა. პატრიოტი იყო თხემით ტერფამდე და ამიტომაც დიდი ქართველები საკუთარ წინაპრებად მიაჩნდა. მის სუფრაზე ჩვენთან ერთად , მისი სადღეგრძელოების გამო, ისტორიიდან გადმოსული დიდი ქართველებიც ისხდნენ: დავითი და რუსთაველი, ილია და აკაკი, ვაჟა და იაკობი, დიმიტრი ყიფიანი და ნიკო ნიკოლაძე... ამიტომაც ბიჭიკო ვაშაკიძის ოჯახში გაშლილი უხვი სუფრა არასოდეს გადაქცეულა ღრეობად და მთვრალთა ყაყანად. მასპინძელს სუფრაზე საკუთარი გული ედო, რომელიც სიყვარულს ასხივებდა უშურველად და უანგარიშოდ.

ჩვენ ბევრი სახელოვანი კაცი შეგვხვედრია და გვიმეგობრია კიდეც მათთან, მათ შორის ტექნიკური დარგის ცნობილი ადამიანები, მაგრამ თავისი სამშობლოს ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაში ბევრი ვერ გაუწევდა მეტოქეობას ჩვენს მეგობარს. უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სულ კითხულობდა, გაზეთებში სიახლე არ გამორჩებოდა.

ბოლომდე ახალგაზრდად დარჩა ჩვენი მეგობარი, ამიტომაც შერჩა ბოლომდე ბავშვობისა და ჭაბუკობისდროინდელი სახელი ბიჭიკო, არა და, დიდებული ნათლობის სახელი ერქვა ნიკოლოზი.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი მეგობარი, რომელმაც თავის წუთისოფელში სიმწარე და ურვაც განიცადა და გამარჯვების სიხარულიც. წავიდა იმ სამკვიდროში, რომელსაც მარადისობა ჰქვია, მაგრამ ჩვენთან, მის მეგობრებთან დარჩა ვითარცა ჟამი...

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ხაშურის მიწა, რომელსაც მანამდე მისი ძვირფასი მეუღლე და ვაჟიშვილი ეზიარა.

მეგობრების სახელით: ზურაბ ცუცქირიძე, თამაზ ლაცაბიძე, მურად მთვარელიძე, გიორგი ტაბატაძე, არჩილ სეფისკვერაძე, თემურ ბუხნიკაშვილი, თამაზ ბარბაქაძე, ჯონდო ქიტიაშვილი, გია კახურაშვილი, ლევან რატიანი, ანზორ სიჭინავა, ვაჟა გაბარაშვილი

D

განცხადება

მარტოხელა არამწოლიარე ასაკოვანი ქალისათვის გვესაჭიროება ბინაზე მიმხედავი. მისამართი: სურამი, 9 აპრილის ქუჩა, მე-2 ჩიხი, №15.

ანაზღაურება შეთანხმებით.

დაწვრილებითი ცნობისათვის დარეკეთ ბინის ტელეფონზე: 27 10 18

იკითხეთ გია პაუტოვი

D

მზია ნადირაძის ხსოვნას

ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მზია ზეციურ საქართველოს შეუერთდა.

გვიმძიმს მასზე წარსულში საუბარი - მთელი თავისი ცხოვრება მოკრძალებულად, უხმაუროდ გაატარა. დატოვა უსაზღვრო სიყვარული, სითბო, სიკეთე.

შენ, ჩემო სულით და ხორცით ლამაზო მამიდაშვილო, ღირსეული კვალი დატოვე განათლების სისტემაში. იყავი კარგი დედ-მამის შვილი, და-ძმის ლეილას და კარლოს უზომოდ მოყვარული. იყავი საუკეთესო მეუღლე, დედა და მეგობარი. სწორედ ისეთი, მთელ ქალაქს რომ აკლდებიან და შემდეგ მოწიწებით და სიყვარულით იხსენებენ.

დატოვე კარგი შვილები, შვილიშვილები, რომლებიც არასოდეს შეარცხვენენ შენს სახელს.

ჩვენ კი, შენი ახლობლები, შევთხოვთ უფალს, რომ ნათელი არ მოგკლებოდეს მარადიულ საუფლოში.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური სურამის მიწა.

იური და დიანა დიდებულიძეები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.